

ვახტანგ თევდორაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Vakhtang.tevdoradze@atsu.edu.ge

ალ-ჯაჰიზის „წიგნი ცხოველებზე“

რეზიუმე

ალ-ჯაჰიზი (დაიბადა დაახლ. 776 წ., ბასრაში - გარდ. 868/869 წ., ბასრაში) იყო თეოლოგი, მეცნიერი, მწერალი, გამორჩეული თავისი ინდივიდუალური და ოსტატური არაბული პროზით. ცხოვრობდა ბასრაში, მოკრძალებულად, მაგრამ მისმა ინტელექტმა და გონიერებამ მოუპოვა აღიარება სამეცნიერო წრეებში და საზოგადოებაში. ხალიფა ალ-მამუნის მეფობის დროს გადავიდა დედაქალაქ ბაღდადში. სწორედ აქ დაიწყო მისი შემოქმედებითი მოღვაწეობა. მწერალი თავისი გამჭრიახობის, მხიარული ხასიათის, განათლების და პროგრესული სიმკათიების გამო სახალიფოს კარზე მისაღები პიროვნება გახდა. მის კალამს ეკუთვნის 200-მდე ნაწარმოები, რომლებიც თითქმის ყველა დარგს მოიცავს: ფილოსოფია, ღვთისმეტყველება, ისტორია, გეოგრაფია, ქიმია და ა.შ. ნაწარმოებები ძირითადად პოლემიკური ხასიათისაა. მწერალი ექსპერიმენტებისა და დაკვირვებების საშუალებით ცდილობდა, ყველაფრისთვის რეალური, ლოგიკური ახსნა მოეძებნა, გაურბოდა ყოველგვარ მისტიკას. ის ითვლება არაბული ლიტერატურის თეორეტიკოსად. მან შექმნა ნაშრომი სახელწოდებით „წიგნი მჭერმეტყველებისა და განმარტებებისა“ (كتاب البيان والتبيين), სადაც საუბარია შუა საუკუნეების არაბული ლიტერატურის მხატვრულ სტილზე. ალ-ჯაჰიზის ჩვენამდე მოღწეულ ნაწარმოებთა რიცხვს მიეკუთვნება თხზულება „ეპისტოლე განათლებისა და ბრუნვისა“ (رسالة التربيعة والتدوير). ზოგი არაბი კრიტიკოსი თვლის, რომ ეს ნაწარმოები მაკამის ჟანრის საწყის ეტაპს წარმოადგენს. ლიტერატურული თვალსაზრისით საინტერესოა ალ-ჯაჰიზის „წიგნი ვაჭრებზე/მუნწებზე“ (كتاب البخلاء) და „წიგნი ცხოველებზე“ (كتاب الحيوان), რომლებიც ადაბის ჟანრის ადრეულ პერიოდს განეკუთვნება. აქ თავმოყრილია ლექსები, მოთხრობები და ანდაზები ცხოველებზე, ნაწყვეტები არაბი, სპარსი და ბერძენი მწერლების თხზულებებიდან, ფრაზები ყურანიდან, ბიბლიური თქმულებები და ა.შ.

„წიგნი ცხოველებზე“ შვიდი ნაწილისგან შედგება. აღწერილია ცხოველების ბუნებრივი თვისებები, მოცემულია აფორიზმული გამონათქვამები (ჰიქმა), დიდაქტიკა (ადაბ) და იუმორის ელემენტები; ავტორს მოჰყავს ნაწყვეტები იმდროინდელი ლიტერატურული და სამეცნიერო ნაწარმოებებიდან ცხოველებისა და ადამიანის ბუნებას შორის კავშირის შესახებ, ასევე პოპულარული ლექსები, ანდაზები. ალ-ჯაჰიზი არაერთხელ აღნიშნავს, რომ მან ეს წიგნი დაწერა, რათა ისაუბროს ცხოველთა იმ თვისებებზე, რომლებიც ალაჰის გასაოცარ სიბრძნესა და მის ყოვლისშემძლეობას მოწმობენ. ხსენებული წიგნის შესწავლისას ყურადღებას იპყრობს მისი ისტორიული ღირებულება. აქ ვხვდებით მრავალფეროვან ინფორმაციას არაბებისა და სხვა ხალხების ისტორიის, მათი კულტურის, ადათ-წესების, რწმენის, სოციალური ურთიერთობების შესახებ. ეს ყველაფერი მოწმობს ავტორის დიდ განსწავლულობაზე.

საკვანძო სიტყვები: „წიგნი ცხოველებზე“, ადაბი, ალ-ჯაჰიზი, მუ'თაზილიზმი, ჰიქმა.

ალ-ჯაჰიზი (775-868 წწ.) ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული წარმომადგენელი იყო ლიტერატურული მიმდინარეობისა „წარსულისაკენ დაბრუნება“. ის ითვლება თავისი ეპოქის წამყვან პროზაიკოსად და კრიტიკოსად. სრული სახელია აბუ ოსმან იბნ ბაჰრი, მეტსახელიად ალ-ჯაჰიზი (თვალეზგადმოკარკლული), დაიბადა ბასრაში. ახალგაზრდა ალ-ჯაჰიზი დაუახლოვდა მასჯიდიტებს, ბასრელ სწავლულებს და მიიღო საკმაოდ კარგი განათლება (The Encyclopedia of Islam 1986, 385). მოგვიანებით ბაღდადში გადავიდა, განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა ბერძნული ფილოსოფიის მიმართ. სწორედ აქ დაიწყო მისი შემოქმედებითი მოღვაწეობაც. ალ-ჯაჰიზის, როგორც ნიჭიერი ლიტერატორის შესახებ ამბავმა, მალე მიაღწია ხალიფა ალ-მა'მუნის ყურამდე. მან მწერალს კანონების ტრაქტატის შედგენა დაავალა და ამ დავალების შესასრულებლად თავისი კანცელარიის მოხელედ დანიშნა.

მწერალი თავისი გამჭირაზობის, მხიარული ხასიათის, განათლების და პროარაზული სიმპათიების გამო, სახალიფოს კარზე მისაღები პიროვნება გახდა. განსაკუთრებული მეგობრობა აკავშირებდა მას ხალიფების ალ-მა'მუნისა და ალ-ვასიკის ვეზირთან იბნ აზ-ზაიდთან (გარდ. 847 წ.). აზ-ზაიდის განთავისუფლების შემდეგ იგი ყოფილ ვეზირს, პოლიტიკურად და ლიტერატურულად დაპირისპირებულ აჰმად იბნ აბუ დაუდს და სამეფო კარის სხვა წარჩინებულებს დაუმეგობრდა. თავისუფალი აზროვნებისა და მუ'თაზილიტური იდეების გამო მწერალს ხშირად უპირისპირდებოდნენ ღვთისმეტყველები, თუმცა ეს გარემოება მას ხელს არ უშლიდა, ყოფილიყო ხალხის რჩეული და სამეფო კარზე მიღებული პიროვნება. მხოლოდ სიცოცხლის ბოლოს, როცა მუ'თაზილიტებმა დაკარგეს თავიანთი გავლენა ისლამურ ღვთისმსახურებაში, ალ-ჯაჰიზმა დატოვა ბაღდადი და გადავიდა ბასრაში, სადაც ღრმად მოხუცებულობაში გარდაიცვალა (Фильштинский 1985, 428).

ალ-ჯაჰიზი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ღრმად განსწავლული პიროვნება იყო, ენციკლოპედიური ცოდნით. მის კალამს ეკუთვნის 200-მდე ნაწარმოები, რომლებიც თითქმის ყველა დარგს მოიცავს: ფილოსოფია, ღვთისმეტყველება, ისტორია, გეოგრაფია, ქიმია და ა.შ. ნაწარმოებები ძირითადად პოლემიკური ხასიათისაა. მწერალი ექსპერიმენტებისა და დავირვებების საშუალებით ცდილობდა, ყველაფრისთვის რეალური, ლოგიკური ახსნა მოეძებნა და გაურბოდა ყოველგვარ მისტიკას. ის ითვლება არაბული ლიტერატურის თეორეტიკოსად. მან შექმნა ნაშრომი სახელწოდებით „წიგნი მჭერმეტყველებისა და განმარტებებისა“ (كتاب البيان والتبيين), სადაც საუბარია შუა საუკუნეების არაბული ლიტერატურის მხატვრულ სტილზე, ლინგვისტურ პრინციპებზე, არაბულ ორატორულ ნიჭზე და სხვ. მიუხედავად მწერლის დიდი ინტერესისა სამეცნიერო საკითხების მიმართ, არაბულ ლიტერატურაში მას ადგილი უმეტესად მისმა მხატვრულმა ნაწარმოებებმა დაუშვკიდრა.

იმისათვის, რომ კარგად გავერკვიოთ ალ-ჯაჰიზის შემოქმედებაში, აუცილებელია, ვიცოდეთ მისი პოლიტიკური შეხედულებების შესახებ. თავის ტრაქტატებში, რომლებსაც იგი უძღვნიდა არაბებისა და მავლების დამოკიდებულებას, ყოველთვის ცდილობდა სახალიფოში ირანელებისა და არაბების როლი პრივილეგირებულად წარმოეჩინა, რადგან აბასიდების მომხრე და ამავდროულად მუ'თაზილიტების მიმდევარიც იყო. ერთი შეხედვით, თითქმის წარმოუდგენელიც კი ჩანდა, რომ ასეთი პოლიტიკური განწყობის მქონე ადამიანს რაიმე საერთო ჰქონოდა მუ'თაზილიტურ მოძრაობასთან, რომელიც ბერძნულ-ირანული ფილოსოფიის გავლენით იყო ჩამოყალიბებული. მაგრამ მწერლის ფილოსოფიური და პოლიტიკური შეხედულებები არათუ ეწინააღმდეგებოდა ერთმანეთს, არამედ ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული იყო და საკმაოდ საინტერესო კონცეფციებს უდებდა სათავეს. ჯაჰიზი თვლიდა, რომ არაბების და ორთოდოქსალური ისლამის გაძლიერება მხოლოდ იმ შემთხვევაში იყო შესაძლებელი, თუ მოხდებოდა ძველი და დრომოჭმული წარმოდგენების მოსპობა და დამკვიდრდებოდა ახალი შეხედულებები, ამიტომ მწერლის პოლიტიკური თუ სოციალური იდეები მისსავე შემოქმედებაში აისახა. ალ-ჯაჰიზის ჩვენამდე მოღწეულ ნაწარმოებთა რიცხვს მიეკუთვნება თხზულება „ეპისტოლე განათლებისა და ბრუნვისა“ (رسالة الترييع والتدوير). ზოგი არაბი კრიტიკოსი თვლის, რომ ეს ნაწარმოები მაჰამის ჟანრის საწყის ეტაპს წარმოად-

გენს. ლიტერატურული თვალსაზრისით საინტერესოა ალ-ჯაჰიზის „წიგნი ვაჭრებზე/მუნ-წებზე“ (الكتاب البخلاء) და „წიგნი ცხოველებზე“ (كتاب الحيوان), რომლებიც ადაბის ჟანრის ადრეულ პერიოდს განეკუთვნება. აქ თავმოყრილია ლექსები, მოთხრობები და ანდაზები ცხოველებზე, ნაწყვეტები არაბი, სპარსი და ბერძენი მწერლების თხზულებებიდან, ფრაზები ყურანიდან, ბიბლიური თქმულებები და ა.შ. ავტორი აქაც, ისევე როგორც თავის სხვა ნაწარმოებებში, მეტ ყურადღებას უთმობს ამბის სახალისოდ გადმოცემას და არ ფიქრობს თანმიმდევრობის დაცვაზე. აქ არ არის შენარჩუნებული კომპოზიციური მთლიანობა. წიგნი სრულდება სიბრძნისა და ალაჰის განდიდებით, რომელიც ყველა ცხოველის შემოქმედი და მათი ჭკუითა და გამჭრიახობით დამჯილდოებულია.

„წიგნი ცხოველებზე“ შეიცავს ცხოველების ბუნებრივი თვისებების აღწერას, აფორიზმულ გამონათქვამებს (ჰიქმას), დიდაქტიკას (ადაბ) და იუმორის ელემენტებს; ავტორს მოჰყავს ნაწყვეტები იმდროინდელი ლიტერატურული და სამეცნიერო ნაწარმოებებიდან ცხოველები-სა და ადამიანის ბუნებას შორის კავშირის შესახებ, ასევე პოპულარული ლექსები, ანდაზები, აფორიზმები. ალ-ჯაჰიზი არაერთხელ აღნიშნავს, რომ მან დაწერა ეს წიგნი, რათა ისაუბროს ცხოველთა იმ თვისებებზე, რომლებიც მოწმობენ ალაჰის გასაოცარ სიბრძნეს და მის ყოვლისშემძლეობას.

„წიგნი ცხოველებზე“ 1907 წელს დაიბეჭდა ეგვიპტეში, შვიდ ნაწილად. ასევე არის კარგად შესრულებული 1938 [1357] წლის გამოცემა აბდ ალ-სალამ მუჰამედ ჰარუნის კომენტარებით. მისი არაბული წყაროებია ალ-ასმალის, აბუ უბეიდას, აბუ ზეიდ ალ-ანსარის, ან-ნაჰამის, მუთაზილიტების ერთ-ერთი ლიდერის ბიშრ იბნ ალ-მუთამირის ნაშრომები, რომლებსაც ავტორი კარგად იცნობს (Аль-Фахури 1959, 77). აქვს ორი დიდი კასიდა, რომელიც შეიცავს ცხოველების აღწერას და ბრძნულ გამონათქვამებს ცხოველებზე. ალ-ჯაჰიზმა ორივე ეს კასიდა თავის წიგნში შეიტანა და კომენტარები დაურთო. წყაროდ ავტორმა ასევე გამოიყენა ყურანი და ჰადისები, ლეგენდების მცველების მოთხრობები, არაბული ფოლკლორი და ბოლოს, თავისი საუბრები თანამედროვე მეცნიერებთან, ექიმებთან, რომლებიც მას მნიშვნელოვნად დაეხმარნენ. უცხოურ წყაროებს შორის, პირველ რიგში, გამოყენებული აქვს არისტოტელეს ნაშრომები, რომელიც არის ავტორი ცხრამეტნაწილიანი წიგნისა ცხოველებზე, ის არაბულად თარგმნა იბნ ალ-ბატრიკმა. ალ-ჯაჰიზმა გარკვეული ინფორმაცია აიღო კლაუდიოს გალენოსი/გალენისაგან¹, ასევე იყენებს სპარსულ წყაროებს, კერძოდ ცეცხლთაყვანისმცემელთა ლეგენდებს. დიდი ნაწილი ინფორმაციისა აღებული აქვს ებრაული და ქრისტიანული რელიგიებიდანაც.

ალ-ჯაჰიზი არ შემოიფარგლება მხოლოდ ცხოველების ბუნებრივი თვისებების აღწერით. თემის მიღმა ის თავის წიგნს აქცევს სამეცნიერო და ლიტერატურული თვალსაზრისით უნივერსალურ ნაშრომად. გარდა ცხოველების შესახებ ინფორმაციისა, წიგნი შეიცავს მდიდარ მასალას სხვა მრავალ საკითხზე; მასში სერიოზულობა ენაცვლება იუმორს, მეცნიერება - ლიტერატურას, ჭკუა - ცინიზმს.

„წიგნი ცხოველებზე“ შვიდი ნაწილისგან შედგება (Аль-Фахури 1959, 77). პირველი ნაწილი მოიცავს შესავალს, რომელშიც ალ-ჯაჰიზი პასუხობს კრიტიკოსებს და მოიხსენიებს მათ ორმოცზე მეტ ნაშრომს. შემდეგ ავტორი დეტალურად საუბრობს წიგნის ღირსებაზე და მისი შემენის აუცილებლობაზე. ამას მოჰყვება მეორე თავი ცხოველთა კასტრაციისა და მისი სარგებლობის შესახებ, რომელიც არის ცხოველთა მონაკვეთის პრელუდია, აქ მხოლოდ ძალი და მამალია მოხსენიებული. მესამე ნაწილი ეთმობა მტრედებს, ბუზებს, ყვავებს და ა.შ. ასევე შეიცავს ავტორის დიგრესიებს გულწრფელობაზე და გამჭრიახობაზე. მეოთხე ნაწილი ეძღვნება ჭიანჭველებს, მაიმუნებს, ღორებს, გველებსა და სირაქლეებს. დიგრესიებში ავტორი საუბრობს ცეცხლზე და ცეცხლის ადგილზე არაბებისა და სხვა ხალხების რელიგიაში. მე-

¹ კლაუდიოს გალენოსი/გალენი (129-216 წწ.) - ფარმაცოლოგიის მამად წოდებული ბერძნული წარმომავლობის მქონე რომაელი მედიკოსი და ფილოსოფოსი.

ხუთე ნაწილი ორი თავისაგან შედგება. პირველ თავში სრულდება დისკურსი ცეცხლის შესახებ და განმარტებულია ყურანის ზოგიერთი სტროფი; მასში ასევე საუბარია ქრისტიანთა, ებრაელთა პანეგირიკაზე; ცეცხლის თაყვანისმცემლებზე; დაბალი და საზიზღარი ადამიანების შესახებ. მეორე თავი ეძღვნება ცხოველებს: თაგვებს, ვირთხებს, კატებს და ა.შ. და ასევე დისკუსიებს ადამიანისა და ცხოველის განსხვავებაზე. მეექვსე ნაწილი შეიცავს კომენტარებს ალ-ბაჰრანისა და ბიშრ იბნ ალ-მუთმირის კასიდებზე, რომელიც ცხოველებზეა, დისკუსიებს არაბთა შორის შურისძიების და სიმხდალის შესახებ. გარდა ამისა, ავტორი აქ საუბრობს ცხოველებზე და ფრინველებზე: ჩლიქოსნებზე, ნიანგზე, კურდღელზე და ა.შ. მეშვიდე ნაწილი ეძღვნება წიგნის მთავარ მიზანს - ალაჰის სიბრძნისა და ყოვლისშემძლეობის დადასტურებას. აქ საუბარია ალაჰის სიბრძნის გამოვლინებაზე ცხოველთა სამყაროში, ცოდნაზე, სიმხდალესა და გამბედაობაზე, რომლითაც მან დააჯილდოვა ისინი, მათ ინტელექტზე, რომელიც ეხმარებათ თავდაცვაში. ეს თავი მოგვითხრობს სპილოზე, ჟირაფზე და სხვა ცხოველებზე.

რაც შეეხება წიგნის კომპოზიციურ თავისებურებებს, აი რას ამბობს ამის შესახებ თავად ავტორი:

როცა [მკითხველი] შორდება ყურანის აიებს, ის გადავა [ლიტერატურულ] ძეგლზე; როცა მას მოშორდება, გადმოსცემს [ისტორიულ] ამბებს; ამის შემდეგ ის გადავა ბეითზე, ბეითიდან ანეკდოტებზე, ანეკდოტებიდან ბრძნულ გამონათქვამებზე და მკაცრ წესებზე; ამის შემდეგ ის არ დატოვებს ამ განყოფილებას, [თუმცა] ეს შეიძლება იყოს ყველაზე მოსაწყენი და მისგან დაღლილობა უფრო ადრე [მოდის] – სანამ [ისევ] არ გადავა გართობაზე, ხუმრობაზე, სისულელეზე და სისულელეზე; [თუმცა], მე არ ვთვლი, რომ ეს სისულელეა (Al-Djāhiz 1965, 5).

აგრძელებს:

ამ წიგნში არის ნიმუშები პოეზიიდან და სხვადასხვა მოთხრობიდან, რათა წიგნის მკითხველი გადავიდეს ერთი ტიპიდან მეორეზე, ერთი ფორმიდან მეორეზე; ჭეშმარიტად, მე მინახავს, რომ ყურები დაიღალა მხიარული ხმებით, ლამაზი სიმღერებით და მჭევრმეტყველი სიმებით, თუ ეს ძალიან დიდხანს [გაგრძელდება]; და თუ უსარგებლო წიგნების საწყისები ამ მეთოდს მიჰყვებოდნენ, ეს იქნებოდა საუკეთესო საშუალება სიმწელების წინააღმდეგ; ჩვენი მიზანი ამ ყველაფერში სწორედ ეს არის. რათა ისარგებლოთ (Al-Djāhiz 1965, 5).

ალ-ჯაჰიზი მოქმედებს როგორც მეტორი, რომელიც ასწავლის არაბ მეცნიერებს. მას სურს, რომ მისმა მსმენელებმა მაქსიმალური სარგებელი მიიღონ ამ გაკვეთილებიდან და ამიტომ, უპირველეს ყოვლისა, ცდილობს მიაღწიოს სიკმადას მისი აზრების წარმოდგენისას: სიტყვებმა არ უნდა დაგდალოს - მათ უნდა შეაღწიონ გულებსა და გონებაში. აქ საუკეთესო მეთოდი ერთი თემიდან მეორეზე გადასვლაა, მსჯელობის მონაცვლეობა, სახუმარო ამბების ჩართვა და ვხედავთ, რომ სწორედ ამას აკეთებს. როგორც ჩანს, მას არ რცხვენია არც სარისკო ხუმრობების და არც აშკარა უხამსობების. თითქოს ის ნანობს, რომ ასე უწევს წერა, მაგრამ სხვა გამოსავალს ვერ ხედავს და ამბობს:

ცუდი აზრი რომ მქონოდა მათზე, ვინც ჩვენს დროში მეცნიერებისადმი ლტოლვას ამჟღავნებს, რომლებიც ჩვენს ეპოქაში წერენ წიგნებს, არ მომიწევდა მათთან ადაპტაცია, მათი მოზიდვა, მათი სულების დარბილება და გულების გამხნეება. ჩემი წიგნის შინაარსით, მე არ დამჭირდებოდა ბევრი ბოდიში, თითქოს ჩემი სურვილი იყოს სიკეთე მათთვის, ვინც მათ ზიანს უსურვებს (Al-Djāhiz 1965, 7).

ალ-ჯაჰიზი აღიარებს, რომ მისთვის წერა ასე უფრო რთულია, ვიდრე ერთ თემაზე, გადახრების გარეშე. ამრიგად, წიგნი არ გამოირჩევა კომპოზიციური ერთიანობით, ავტორი არ

იცავს ლოგიკის მოთხოვნებს. ის უფრო მკითხველთა გემოვნებას ითვალისწინებს. ის აქ ჩანს როგორც მეცნიერი და მწერალი, რომელიც მეცნიერებასა და ლიტერატურაზე შეყვარებული, როგორც პოლემიკისკენ მიდრეკილი მუ'თაზილიტი. ეს მიდრეკილება იმდენად დიდია, რომ თუ მწერალი კამათში ნამდვილ მოწინააღმდეგეს ვერ პოულობს, ქმნის ორი ან მეტი პირის წარმოსახვით დებატებს, რომლებიც კამათობენ მისთვის საინტერესო საკითხზე. მაგალითად, მაღლზე ან მამალზე საუბრისას, ის ქმნის ამ ცხოველების მეგობრების გამოსახულებებს, რომლებიც ჩამოთვლიან მათ სათნოებებს, აძლიერებენ მათ ქმედებებს ძველი ლეგენდებით, მოთხრობებითა და ანეკდოტებით, სახარების, ყურანის, ჰადისების ფრაზებით და ა.შ.

განსახილველი წიგნის შესწავლისას ყურადღებას იპყრობს მისი ისტორიული ღირებულება. აქ ვხვდებით მრავალფეროვან ინფორმაციას არაბებისა და სხვა ხალხების ისტორიის, მათი კულტურის, ადათ-წესების, რწმენის, სოციალური ურთიერთობების შესახებ. ეს ყველაფერი მოწმობს ავტორის დიდ განსწავლულობაზე.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ თუ ალ-ჯაჰიზის წინამორბედები, როგორც წესი, მეცნიერების ერთი ან ორი დარგის სპეციალისტები იყვნენ, თავად არ იყო სპეციალიზირებული რომელიმეში კონკრეტულად; ის ცდილობდა, მიეღო უნივერსალური ცოდნა, ლოგიკური მსჯელობებით გაეკეთებინა დასკვნები, ეთქვა საკუთარი, ახალი სიტყვა მეცნიერებაში. „წიგნი ცხოველებზე“ ამის საუკეთესო დასტურია. მან გამოიყენა იმ დროისათვის არსებული თითქმის ყველა სამეცნიერო კვლევის მეთოდი. წიგნის შესავალში ის წერს:

ეს არის წიგნი, რომელშიც ინტერესი [ყველა] ხალხის მიმართ ერთნაირია; არაბები და არაარაბები მასში თანასწორნი არიან, რადგან ეს წიგნი არაბული, ბედუინური და მუსლიმურია, ის ეხება ფილოსოფიის საკითხებს და აერთიანებს თეორიულ ცოდნას, ექსპერიმენტულ მეცნიერებას, წიგნიერ მეცნიერებას პრაქტიკასთან, ცნობიერ აღქმას ინსტიტუტურ გამოცდილებასთან (Al-Djāhiz 1965, 8).

ამრიგად, ალ-ჯაჰიზი თავის კვლევებში ეყრდნობოდა როგორც გრძნობებს, ასევე გონიერებას. მისი კვლევის ამოსავალი წერტილი არის დაკვირვება, რომელსაც ავსებს გამოცდილება, ჰიპოთეზები, შედარება და კლასიფიკაცია. მისი აზრით, „ნებისმიერი განცხადება, რომელიც დაკვირვებით უარყოფილია, არის აშკარა შეცდომა, აბსურდული თეორია, რომელიც მიუთითებს დიდ სიჯიუტესა თუ სისულელეზე“ (Al-Djāhiz 1965, 10). ის ფართოდ იყენებდა ექსპერიმენტულ მეთოდს: მან ამოჭრა ცხოველებიდან ცალკეული ორგანოები, გამოსცადა მათზე სხვადასხვა მზამების მოქმედება, შეისწავლა შინაგანი ორგანოების სტრუქტურა, შეკრიბა ერთმანეთის მტრები და მათი ბრძოლის ყურებით შეისწავლა გადარჩენის ინსტიქტები. იგი ასევე ეყრდნობოდა თეორიებს, რომლებიც მისთვის ცნობილი გახდა იმ დროის მეცნიერებთან კომუნიკაციის შედეგად. თუმცა, ამ თეორიების გამოყენებით, ალ-ჯაჰიზი ცდილობდა დამოუკიდებელი მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებშიც ეყრდნობოდა საკუთარ თეორიულ დასკვნებს. ამიტომ ზოგჯერ მთლიანად სხვა მეცნიერთა თეორიებს იყენებდა, ზოგჯერ მათ ეჭვებს ადასტურებდა ან უარყოფდა.

ალ-ჯაჰიზმა გარემოს აღქმა გონების კრიტიკას დაუქვემდებარა. მან თქვა: „არ წახვიდე იქ, სადაც შენი თვალები მიგიყვანს; წადი იქ, სადაც შენი გონება მიგიყვანს. ყველაფერს აქვს ორი არსი: არსი [ხელმისაწვდომი] გრძნობებისთვის და ფარული არსი [ხელმისაწვდომი] გონებისთვის“. ის ეჭვს თვლიდა კვლევის დასაწყისად, ჭეშმარიტების ძიებისას ეყრდნობოდა გამოცდილებასა და ლოგიკის კანონებს. მას სჯეროდა, რომ ეჭვი არის ჭეშმარიტებისაკენ მიმავალი გზა, ამიტომ ამბობს: „იცოდე ეჭვის ობიექტები და მათკენ მიმავალი გზები, რათა შეიცნო ჭეშმარიტება“. ჩანს, ეჭვი მისთვის არ იყო თვითმიზანი, ეს იყო ცოდნის საშუალება. ამიტომ ეჭვი გააერთიანა სამეცნიერო კრიტიკასთან. მას ძალიან უყვარდა ზღაპრების განხილვა და მათი ავტორების მძაფრი კრიტიკა. იყო მოუურიდებელი კამათის დროს. მათ შორის არ ინდობდა თვით არისტოტელესაც. ამ გზით ის მივიდა ჭეშმარიტებამდე.

ალ-ჯაჰიზმა დიდი როლი შეასრულა არაბული პროზის განვითარებაში. მისი შემოქმედების თემატიკურმა მრავალფეროვნებამ, უბრალოებამ და ორიგინალურობამ მწერალს დიდი პოპულარობა მოუტანა.

გამოყენებული ლიტერატურა:

Al-Djāhiz, 'Abū 'Uthmān 'Amr b. Baḥr. 1965. *Kitāb al-ḥayawān. al-djuz' al-'awwal. taḥqīq wa sharḥ* 'Abd as-Salām Muḥammad Hārūn (არაბულ ენაზე).

The Encyclopedia of Islam. 1986. New Edition, Prepared by Number of Leading Orientalists, Edited by B. Lewis, Ch. Pellat and J. Schacht, Under the Patronage of the International Union of Academies, Vol. II, C-G. Leiden: E. J. Brill.

Аль-Фахури, Ханна. 1959-1961. *История арабской литературы*. Том II. Москва: Издательство иностранной литературы.

Фильштинский, И. М. 1985. *История арабской литературы V- начала X вв.* Москва: Главная редакция восточной литературы.